

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 131

ქ. ოზურგეთი

5 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი გამგებლის მერაბ ჭანუყვამეს სახით და მეორეს მხრივ, შ.კ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“ (შემდგომში „მიწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის ნინო მუმლაძეს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშეს (NAT170007720) პირობების შესაბამისად, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. საინჟინრო მომსახურებები (კოდი 71300000)

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 3 ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება:

ა) სილაურის ადმინისტრაციული ერთეული - სილაურის ცენტრიდან ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზამდე; - სიგრძე 2700 მეტრი; - სიგანე 5,5 მეტრი; - ორფენიანი საფარი; - გზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება შეადგენს 7800 ლარს.

ბ) ჭანიეთის ადმინისტრაციელი ერთეული - საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან ჭანიეთის ცენტრის გავლით სოფელ ქაქუთის დასაწყისამდე; - სიგრძე 1900 მეტრი; - სიგანე 5,5 მეტრი; - ორფენიანი საფარი - გზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება შეადგენს 5500 ლარს.

გ) მერიის ადმინისტრაციული ერთეული - სოფელ მერიის ცენტრიდან მერია-ლაითაურის ხიდამდე; - სიგრძე 900 მეტრი; - სიგანე 5,5 მეტრი; - ორფენიანი საფარი - გზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება შეადგენს 2699 ლარს.

2.2. ტექნიკური დავალება:

2.2.1. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- ა) თავფურცელს, ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
- ბ) შესასრულებელი სამუშაოების მოცულობით და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას (3 ეგზემპლარი);
- გ) განმარტებით ბარათს
- დ) გეოლოგიას
- ე) ტოპოგრაფიულ გეგმას
- ვ) სიტუაციურ გეგმას
- ზ) მშენებლობის ორგანიზაციას
- თ) გრძივი და განივი პროფილი.
- ი) მიწის ვაკისი
- კ) საგზაო სამოსის კონსტრუქციას
- ლ) ხელოვნურ ნაგებობებს
- მ) მიერთებებს და გადაკვეთებს
- ნ) გზის კუთვნილებას და მაწყობილობას

2.2.2. თითოეული პროექტის (ოთხი პროექტის) ბეჭდური და ელექტრონული (CD) ვერსია გამყარებული ვალევის ფოტომასალებით 4 ეგზემპლარად.

2.2.3. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით შესასრულებელი სამუშაოზე გეოლოგიური დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს „მიწოდებელი“-ს მიერ ადგილზე ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე.

2.2.4. „მიწოდებელმა“ შემსყიდველის მიერ მითითებულ ობიექტებზე გასვლა, არსებული დეფექტების აღმოფხერის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა, შესაბამისი ესკიზისა და დეფექტური აქტის შედგენა უნდა შესრულდეს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად.

2.2.5. შესასრულებელი სამუშაოების დეფექტური აქტისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედეგნისას მიწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

2.2.6. საინფორმაციო მონაცემთა ბაზის წარმოება გამოვლენილი დეფექტების (ფოტომასალის დართვით) და

ტექნიკური დავალების აღნუსტვას, დამუშავების მიზნით და შემდგომ ამ ბაზის შემსყიდველისათვის გადაცემა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით.

6. 27/7

2.2.7. შემსრულებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს როგორც ნაბეჭდი ფორმით, ასევე ელექტრონულად.

2.2.8. დეფექტური აქტი შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენელთა ხელმოწერის შემთხვევაში.

2.2.9. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მიერ ობიექტების ფუნქციონალურ დატვირთვასთან დაკავშირებული გარემოებები:

- სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესი, პროექტის ავტორმა უნდა განახორციელოს საპროექტო ზედამხედველობა. შენიშვნები და მოსაზრებები წერილობითი ფორმით აწონბოს შემსყიდველ ორგანიზაციას.
- თუ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.
- პროექტირების პერიოდში საპროექტო დაკალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 15999 (თხუთმეტიათას ცხრას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების საერთო ფასი გამოსახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე (2017 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით). აღნიშვნულ ვადაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებული ექსპერტიზის დასკვნაც.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის (ნაწილის) მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“.

5.4. მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად შესყიდველს წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

5.5. მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

5.6. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ითვლება ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1. სატექნდერო წინადადებაში, საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ტანთდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

6.2. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;

6.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

6.4. საავანსო ანგარიშსწორება არ განიხილება.

6.5. ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მქენ შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოზე „ფორმა №2“-ისა და შესრულებულ სამუშაოზე. გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათ) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.6. ეტაპობრივ შესრულებად ჩაითვლება, სატექნდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ოთხი ობიექტიდან თითოეულის სრულყოფილი/დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

6 გვ

- 6.7. შეალედური ანაზღაურება განხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების არაუმეტეს 80 პროცენტისა, ხოლო დარჩენილი 20 პროცენტი ანაზღაურებული იქნება ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული შენიშვნების აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- 6.8. საბოლოო ანაზღაურება განხორციელდება, ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნა, წარმოდგენილი პროექტი პასუხობს თუ არა მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს და შესაძლებელია თუ არა მისი რეალიზაცია.
- 6.9. ექსპერტიზის დასკვნის ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 7.1. შემსყიდველი ვალდებულია
- გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;
 - აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების 6.3. პუნქტის შესაბამისად.
- 7.2. „შესყიდველს“ უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
 - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
- 7.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- დაიცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
 - დააკამაყოფილოს „შემსყიდველის“ მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 7.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
- მოთხოვოს, „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

- 8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტებლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
- 8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ, სატენდერო დოკუმენტაციით (ხელშეკრულებით) განსაზღვრული ობიექტის საბოლოო ჩაბარების ვადას, ვადაგადაცილება აღემატება ჯამში 30 (ოცდაათი) ვალენდარული დღეს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 8.4. ხელშეკრულების შეუსრულებლობით შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტებლოს ვადახდა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით;
- 8.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს შესრულებული სამუშოს ასანაზღაურებელი ღირებულება, საჯარიმო სანქციებით გათვალისწინებული თანხის სრულ ვადახდამდე.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

- 9.1. არაეითარი გადახრა ან ცვლილება „ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესრულებების გარდა.“
- 9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინციდენტორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 9.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ვარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში,

6. გ. მ.

დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

9.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღება მხარეს რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები,

თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეში მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს ანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 18 აგვისტოს #87 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დევექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დევექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მამროდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება მაღალია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.3. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

6. 27/1

14.4. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი გამგებლის მერაბ ჭანუყვამეს სახით,
მისამართი: მ. კოსტავას ქუჩა №1; საიდენტიფიკაციო კოდი №237113869; სახელმწიფო ხაზინა

მომწოდებელი: შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“, წარმოდგენილი დირექტორის ნინო
მუმლაძეს სახით, ელ-ფოსტა: ninomumladze1988@gmail.com

ს/კ 412674921; მის: ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქუჩა N10; ტელ: 598 51 91 78;

ბანკის რეკვიზიტები: სს „თბილისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშის № GE 72 TB 7221 7360 2010 0003

შემსყიდველი



მ. ჭანუყვამე

მიმწოდებელი



ნ. მუმლაძე